№ 161, ივლისს 28, კვირა. 1866—1885 ივლისს 28, კვირა. № 161.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ვვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლებელთათვის 3 მან. და 50 კაპ.**

**დროების** რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ **შავერდოვის სააგენტოში** აღარ მიიღება ხელის-მოწერა ამ გაზეთზედ და არც განცხადებები მასში დასაბეჭდად. ხელის-მომწერთ, ან განცხადების მიცემის მსურველთ რედაქცია სთხოვს პირდაპირ რედაქციის კანტორას მომართონ, (სასახლის ქუჩა, დ. სარაჯოვის სახლში).

## შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ ძლივს ეშველა თბილისელებს. ამდენი ხნის უწვიმობისა და საშინელი სიცხეების შემდეგ, ივლისის 25-ს აქეთ საკმაოდ გრილი დღეები დაიჭირა და ივლისის 26-ს მთელი ღამე და მეორე დღესაც მშვენიერი, ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა. ადამიანები გაგრილდენ და სული მოიბრუნეს, მაგრამ რაღა ეშველება გვალვის გამო დაღუპულს მოსავალს!...

⊖⊖⊖ სოფელ ლორეშიდამ (შორაპნის მაზრა) გვწერენ, რომ ოთხი წელიწადი იქნება, რაც ჩვენი სოფელი ე—იას აშენებს და თითქმის დაასრულეს კიდეცაო, მაგრამ სიკვდილის დროს ოსტატებმა თავი დაანებეს საქმეს, რადგან ზოგიერთებმა თავიანთ ხვედრი ფული არ გამოიღესო. კარგი იქნებაო, რომ დაპირებული ყველას გამოერთვას და ამდენი ხნის ამაგმა ამაოდ არ ჩაიაროსო.

⊖⊖⊖ ქალაქ ბოქჩაიდამ (ბაქოს გუბერნია) გვწერენ: «ჩვენს კოპწია ქალაქს ერთი ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი აქვს ხუთს განყოფილებად. ამას წინად დაარსდა აქ საზოგადოება, რომელსაც ღარიბი შეგირდებისათვის თვით სკოლაში სამყოფი ოთახები უნდა გაემართა, მაგრამ ეს საზოგადოებაც თითქმის სრულიად უქმად არის და ფული თუ აქვს რამე ანგარიშში მოხსენებული, ისიც წევრებზედ «ნედოიმკად» არის დარჩენილი.

⊖⊖⊖ ახალციხიდამ გვატყობინებენ, რომ წრეულს იქაურ საქალაქო სასწავლებელში 13-ს შეგირდს გაუთავებია სწავლა. სამწუხაროდ, ქართველების რიცხვს ამ სასწავლებელში ბოლოს დროს ძალიან დაუკლია.

⊖⊖⊖ ფოთიდამა გვწერენ: «ამ ივლისის თვეში კაი შეზავებული ჰაერი დაიჭირა ფოთში. მძიმე ავადმყოფობა არა არის-რა. აქა-იქ წითელა გაჩნდა, რომელსაც ყველანი კარგად ჰხდილობენ. მუცლის-ფალარათობა აქა-იქ არის, მაგრამ იმედია ესეც მალე განქარდება; ამ იმედს იმაზე ვაფუძნებთ, რომ ხეხილი ეხლა და ეხლა უფრო შემწიფებული შემოდის. სიცხე რეომიურის ტერმომეტრით ჩრდილში ხანდის-ხან 23°-ზე ადის. უფრო კი 20-21 გრადუსია. ძალიან ხელს გვიწყობს ზღვიდან ხშირად-მბერავი გრილი ქარი და თავ-თავის დროზე წვიმები».

⊖⊖⊖ დიდს გაჭირვებაში არიან თურმე, შორაპნის მაზრის დაბა ხარაგაულში მცხოვრებელნი მდინარე ჩხერიმელაზედ ხიდის უქონლობის გამო: ეს მდინარე პატარა წვიმის შემდეგაც კი ისე დიდდება, რომ, გასვლა-გამოსვლა მასში ცხენით და ქვეითად შეუძლებელია. თუმცა ამ მდინარეზედ ბოგირის გაკეთებისათვის მომრიგებელ შუამავლის თ მ. ლორთქიფანიძის შემწეობით განაჩენიც შესდგა საზოგადოების მხრით და ოცის-თავებიც ამოირჩია საზოგადოებამ, თუმცა მათ ჯერ ვერაფერი განკარგულება ვერ მოახდინეს. ხაზინამაც ხით მასალის შემწეობა აღმოუჩინა, მაგრამ იმისთანა მოთავე არ გამოჩენილა, რომ საქმე საქმეზედ მოეყვანა.

⊖⊖⊖ ივლისის 22-ს კავკასიის რკინისგზის მე 403 ვერსტზე, ყაზახის მაზრაში, ჩაიგრეს, რომელნიც დაუძნებულნი იყვნენ რკინის გზის ლიანდაგის დასაცველად, გამვლელი მუშები გაუძარცვამთ. ეს ამბავი სტანციის ჟანდარმს მაშინვე ტელეგრამით უცნობებია პრისტავისათვის. („ნოვოე ობოზრენიე“)

⊖⊖⊖ გაზეთს „კავკაზს“ სწერენ ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩახატაურიდამ: ჯერ ისევ წარსულს წელში ერკეთის საზოგადოების მცხოვრებთ სთხოვეს ქუთაისის გუბერნატორს, რომ გაეყვანათ გზა გურიიდამ მდინარე გუბაზეულის ხეობასა და გომის-ციხის მთაზედ (აჭარის მთებში) ახალციხის მაზრაში და აჭარაში. ამაზედ განკარგულება მოვიდა და ამ გზის კეთებას ერკეთელები უკვე შეუდგნენ. რადგანაც ეს გზა მთლად გურიისათვისაც საჭიროა და არა მარტო ერკეთელებისათვის, ამის გამო ამ უკანასკნელთ იმედი აქვთ, რომ დანარჩენი სოფლების მცხოვრებნიც დაეხმარებიან. სიმართლე მოითხოვს, რომ ამ გზის კეთებაში ახალციხის მაზრამაც და აჭარამაც მიიღოს მონაწილეობა, რადგანაც ხსენებულს გზას ამ მაზრებისათვისაც

## რამე-რიყემე

«წინანი უკანა და უკანანი წინაო», სწორედ მართლა უთქვამთ. აბა დააკვირდი, მკითხველო, ჩვენს ცხოვრებას, თუ ამ ანდაზის გასამართლებელი საბუთი მრავლისაგან მრავალი არა ნახო. რამდენი იყო დაწინაურებული და ძლიერი, მაგრამ დღეს-კი დედა-მიწის ზურგიდამ აღგვილა და მისს დიდებულს საქმეებს მხოლოდ ისტორია გვიქადაგებს. აიღე ეხლა თუ გინდ ის საჰკა «დალახლახვით და ვაითა და ვაგლახით» რომ დადის: უწინ კუჭი შიმშილით უხმებოდა, ყველანი მას უფაჩუნებდენ თავში და ეხლა კი გამდიდრდა და ყველას იგი უფაჩუნებს; ვინც-კი წინად მის შეხედვას არც-კი კადრულობდა, ეხლა ფეხთა მტვერად უხდება და იმისგან გამოელის მოწყალებას. ახლა შეხედე იმ ვაჟბატონს უწინ რომ

მამის მოგებულ ფულებსა
აბნევდა ვით ნაცარ-ბზესა,

ეხლა კუჭი შიმშილით რომ არ გაუხმეს კოტრების დეპარტამენტში შესულა და «ბჭობა-ფიქრობანას» თამაშობს. რა ვუყოთ, ქვეყანაზედ გასაკვირეელი არაფერია. ქვეყანა მამამთავარი იაკობის კიბეა, რომელზედაც ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის, «ბძანება არის ღვთისაო». შექსპირმა ტყუილად-კი არა თქვა, რომ ქვეყანა თეატრია და მაზედ მცხოვრებნი აქტიორები არიანო; ზოგნი სამწუხარო როლს თამაშობენ, ზოგნი სამხიარულოს, ზოგნი დრამას და ზოგნი კომედიასაო.

მაგრამ რა ლობე-ყორეს ვედებით და შორს რად მივდივართ: ავიღოთ თუ გინდ კახეთი და გორის მაზრა. უწინ, ძველს დროში, კახეთი იყო ბელადი ჰირშიაც და ლხინშიაც; მაშინ გორის მაზრის ხსენებაც არსად იყო. ეხლა კი კახეთს მაზანდა წაუხდა და მისს არსებობას მხოლოდ ღვინის სარდაფების «ვივესკები» გვაგონებს, რომლებზედაც სწერია: «აქ იყიდება ნამდვილი კახური ღვინოვო». გორის მაზანდამ კი აიწია: ეხლა, რაც ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო აზრია, უსათუოდ პირველად გორში წარმოითქმება ხოლმე და დანარჩენი მაზრები ზოგი ავად და ზოგი კარგად ბანს აძლევენ. ვინ მოითხოვა თვითმმართველობა? გორმა. ვინ მოიგონა სკოლისათვის თავად-აზნაურობაზედ ხარჯის გაწერა? გორმა. ვინ ითხოვა, რომ... ერთი პოლკი ჯარი დაგვიყენეთო? გორმა. ვინ... მაგრამ ჩვენ რომ ამ «ვინს» გამოვუდგეთ დასასრული აღარ ექნება. ერთის სიტყვით ყოველისფერი გორმა დაიწყო, გორმა და მხოლოდ გორმა. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენმა პოეტმა აკაკიმ ალტაცებით წარმოსთქვა:

გორო, ქართლის შუა-გულო,
მეთაურო ქართლისაო;
ადრე ღირსად წამებულო,
დღესაც მოქმედო ქართლისაო! ა. სხ.

არამც თუ კახეთს, ჩვენს სატახტო ქალაქს თბილისსაც კი აჯობა გორმა. აგერ რამდენი ხანია გამოცხადდა მთელს იმპერიაში ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანის ძეგლისათვის ფულის შეგროვება და დღევანდლამდის რამდენიმე გროშიც არ შეგროვილა. გორელებმა კი ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ ბლომად შეაგროვეს კაპიკები და ძეგლი დაუდგეს... ვისა?.. ვისაა?!.. ბიგო აველიშვილს. ჰა, მკითხველო, რა წარბები შეიჭმუხნე... შენ რაც გინდა იფიქრე და მე კი ერთს დარიგებას მოგცემ: ნუ კი გეწყინება და ყველანი ხომ სიკვდილის შვილები ვართ: როცა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, გორში წადი და იქ დალიე სული, შენს საფლავს არც კი გააცივებენ, მაშინვე ზედ ძეგლს წამოაყუნტებენ

და შეიქმნები დავიწყარი,
ვით შარშანდელი თოვლ-ნიადვარი.

დიაღ დიდის ამბით და ყოფით დაუდგეს ძეგლი ბიგო აველიშვილსა და მრავალი ხალხიც დაესწრო. ასე გასინჯეთ უკან ჩამორჩენილი კახეთის წარმომადგენელიც კი იქ იყო. ბევრმა წარმოსთქვა ცხარე და გრძნობით სავსე სიტყვები და ყველამ ერთხმად შეაქეს მიცვალებულის ტოლუმბაშობა და დუდუკზედ ტკბილი სიმღერა. ერთმა ლექსიც წაიკითხა. ვეცდები ეს ლექსი მაინც არის მოვიგონო, ავტორთან ნურას უკაცრავად თუ ცოტა რამ შეცდომა მოგვივა.

ბიგო აველიშვილს.

ჰე, ჭაბუკო, დღენი შენნი
მხიარულად განატარე;

ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც გურიისათვის.

*** გაზეთს „კასპის“ აცნობებენ, რომ რადგანაც კასპიის იქითა მხარეში დიდი სიცხეებია, სადაც ეხლა რკინის გზას აკეთებენ, ამისათვის გენერალს ანენკოვს განკარგულება მოუხდენია მუშაობა აღარ იყოს ხოლმე დილის 11 საათიდამ 5-ს საათამდის შუადღის უკან.

## «დროების» კორესპონდენცია

—

**ს. რუისი**, ივლისის 19 ს. არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს კაცმა შემდეგს ამბავს, მომხდარს სოფ. რუისში. მამასახლისმა მოიწვია რუისში მცხოვრებნი გლეხნი და აზნაურნი ადგილობრივის მ—ლის მ. იოანე ინაშვილის თხოვნით. მთელ ამ შეკრებილ საზოგადოებას გამოუცხადა მ. ი—შვილმა და სთხოვა ეზრუნათ რუისის ე—სიის სახურავის განახლებისათვის, რადგან მის სიძველის გამო მასში ჩადენილ წვეთს შეეძლო ბოლო მოელო ჩვენთვის სასიქადულო უწინდელ ნაშთებისათვის. მ. ინაშვილის თხოვნა ყველამ გულ-მხურვალედ მიიღო, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი განთქმული ერთგულება ეკლესიისადმი და, ზემო-აღნიშნული საქმის გამო, დაადგინეს განაჩენი, რომელზედაც როგორც გლეხთ, ისე აზნაურთ მოაწერეს ხელი. ამ დადგენილობით მოვალედ გახადეს ორთავ მხარემ თავიანთ თავი: ყველა, რაც მასალას და სახურავის გაკეთებას ფული მოუნდებოდა, იმ ფულის გარდა, რომელიც ე—სიას ჰქონდა, უნდა შეძლების დაგვარად გაეწერათ ორივე მხარეს ერთმანეთ შორის; მასალა-კი უნდა რიგ-რიგობით ეზიდნათ თავიანთ ხარკამბეჩებით უსასყიდლოდ. ამისთვის და საქმის ყურის სადევნებლად თავიანთ შორის ამოირჩიეს სამი პირი: ორი გლეხებმა და ერთი აზნაურებმა.

გლეხები მაშინვე სიტყვიდგან საქმეზედ გადვიდნენ, აზნაურებმა კი, სამწუხაროდ, ზურგი შეაქციეს საქმეს და უმტყუნეს მარტო თავიანთ მეზობელთ კი არა, თავიანთ სიტყვასაც. თუმცა პირველნი ეხლაც ბევრს ეხვეწებიან, ევედრებიან და ეუბნებიან მათ: «ე—სია ყველასია, ყველას ერთნაირად გვჭირდება, დაგვეხმარეთ და ერთად გავაკეთოთო», მაგრამ აქამდის ერთი ყურიმიც არ შებმულა მეორეების მხრივ და არც სხვაფრივ აღმოუჩენიათ შემწეობა.

მოდი და ამის შემდეგ პირველნი გაამტყუნე, როდესაც ესენი ნებას არ აძლევენ მასწავლებელს მეორეთა შვილების მიღებისას თავიანთ სასოფლო სკოლაში, როდესაც მათ ღამის სათეველად არ აყენებენ სკოლის სადგურში და მის დერეფანში და, თუ როგორმე დადგნენ, ჩხუბით და ვაივაგლახით ისტუმრებენ იქიდგან; მოდი და გაამტყუნე ესენი, როდესაც ამ ვაჭ-ბატონების უგვანის ქცევით გულგაფუჭებულნი და რწმენა-დაკარგულნი ეჭვის თვალით დაუწყებენ ხოლმე ყურებას ყველა მათთვის კეთილის საქმის მოსურნეს...

იმედია რომ, ჯერ იქნება კიდე დაფიქრდნენ რუისში მცხოვრებნი აზ---ნი და არ ულალატონ თავიანთ ხელმოწერილ განაჩენს და კეთილშობილურს სიტყვას; იქნება მარტო თავიანთ მოძმე მეზობელი გლეხები არ შეაწუხონ ფულის გაღებით, მით უფრო რომ მცირედი გადასახადი და შრომა ხვდება თვითეულ კომლს. ღმერთმა ჰქნას..

## რუსეთი

მოსკოვის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას 603 უძრავი მამული დაუნიშნავს გასასყიდად, მარტის 1-ლის გარდასახადის შემოუტანელობისათვის.

—

გაზეთი «რუსკია ვედომოსტი» მიაქცევს საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ პურის მაღაზიები რუსეთში თითქმის დაცარიელებულნი არიან და ვისაც რა გაუტანია, აღარ შეაქვს. ერობას აწევს ვალად ამ მაღაზიების ყურადღება, მაგრამ მასაც ვერა უქნიარა და წრევანდლისთანა გვალვის დროს, როდესაც მრავალი მაზრა სრულიად უნუგეშოდ რჩება, ამისთანა მაღაზიების საჭიროება უფრო საგრძნობელია.

—

ვორონეჟში დაუჭერიათ ერთი ყალბი ფულის გამავრცელებელი. მას თავისი დანაშაული ულვიარებია და უთქვამს; მე ლონდონელი ფირმის აგენტი ვარ და ვალად მედო ამ ფულების გასაღებაო.

ეს ფული საკვირვლად თურმე ჰგავს ნამდვილ ფულს. აი რა სცენაა ნაამბობი «მოსკოვკია ვედომოსტ»-ში ამის შესახებ:

«ერთი აგენტი საიდუმლო პოლიციისა წავიდა სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს განყოფილებაში და კასირს წარუდგინა ყალბი 25 მანათიანი დასახურდავებლად; კასირმა აიღო ფული, მარდად თვალი გადაავლო და ხურდა გადუთვალა.

— გთხოვთ ეგ 25-მანათიანი კარგად გასინჯოთ, უთხრა აგენტმა.

— მე ვნახე თქვენი 25-მანათიანი, განა 25 მანათიანი არ იყო?

— დიაღ 25-მანათიანი.

— მაშ მიბძანდით, ნუ მიშლით.

— მე გთხოვთ ხელმეორედ გასინჯოთ ეგ ფული.

— რა გავსინჯო, [illegible] 25-მანათიანია! უთხრა კასირმა და ხელ-მეორედ გამოცდილი კაცის თვალით გადასინჯა ბილეთი.—მე არ მესმის, რა გინდათ ჩემგან. გთხოვთ მიბრძანდეთ, და არ დამიშალოთ.

— თქვენ იცით, ვინა ვარ?

— ვინც უნდა იყოთ, სულ ერთია. 25 მანათი მომეცით, 25 მანათი მიიღეთ და ამიტომ კიდევ გთხოვთ წაბძანდით და ნუ მიშლით.

— მე აგენტი ვარ საიდუმლო პოლიციისა და ეგ ბილეთი ყალბია.

კასირი შეჰკრთა, ყველანი შეიყარნენ და მხოლოდ ხანგრძლივის სინჯვის შემდეგ შეატყეს ნიშნები სიყალბისა. 5-მანათიანები ადვილად საცნობია თურმე და 10-მანათიანებს-კი დიდხანს ეჭირებათ სინჯვა.

—

კიევის გუბერნიაში ერთს სოფელში გლეხების ხაზინადარს 200 თუმანი შემოხარჯვოდა საზოგადოების ფული. გლეხებს მოეწადნათ თავისითვე დასჯა, ფეხთ გადეწყვიტათ მისთვის და ნელის ნაბიჯით ეკლებზე დიდხანს ეტარებინათ. ამ საშუალებით უნდოდათ, თურმე, გლეხებს დახარჯულის მიღება, მაგრამ რომ ვერ მიეღოთ, იმდენ ხანს ეწვალებინათ უბედური, რომ საქმე საექიმოდ გახდომოდა.

—

მოსკოვის ახლო, ივლისის 13-ს, გადიწვა ქალაქი კლიმი. ამ საშინელი ცეცხლის დროს 147 სახლი დამწვარა და 146 დუქანი. ზარალი ერთ მილიონამდე ასულა. დაზღვეული ყოფილა მხოლოდ 150,000 მანათის ქონება.

ივლისის 20 შავს ზღვაზედ რომ ქარიშხალი იყო, ევპატორიის ახლო

---

აწ შენ სხვა გზას გაუდექი
ჩვენ კი ობლად აქ დაგვყარე.

მოკვდი, მაგრამ არ ხარ მკვდარი:
სინამ დუდუკი იქნება,
შენი სახელი ამ ქვეყნად
დაუვიწყარი იქნება.

დიდება შენი განსდება
ბრეთში, მერეთში, ფრისში;
შენზედ სიმღერას იტყვიან
ქორწილშია და დიცშია.

მაგრამ ჩვენ ბედ-კრულთ ვინ გვეტყვის
შენებურს ტკბილსა ნანასა,
ლხინს შემდეგ ვიღა წაგვიყვანს
მაღლა-მდოღეთს და კაყასა.

არა, არავინ, მაშ ვთხოვოთ
მთლად ქართვლის ყმაწვილ-კაცობას:
გლოვისა ნიშნად ნუ წავლენ
ზღუდრობას და გერისთობას.

ამ ლექსმა ყველა იქ დამსწრენი ისეთს აღტაცებაში მოიყვანა, რომ ერთხმად გადასწყვიტეს არამც თუ ზღუდრობასა და გერის-თობას, სალოლაშნობასაც (სალოლაშენი ბრეთის გვერდზეა) ნუ წავალთო.

ქალებიც ბევრნი დაესწრენ ძეგლის დადგმაზედ,

და იმათაც მოიგონეს
გიგოს სიმღერა, ქეიფი;
ცრემლები ბევრი დაღვარეს,
დაისველეს კაბა, ლიფი.

დიდხანსაც არ შესწყვეტავდნენ
ტირილისა შიქასტასა,
თუ რომ არ დაჭპირებოდნენ
თითო კოშსა და ჩიხტასა.

ტირილი კი შესწყვიტეს, მაგრამ კაცებზედ უფრო საშინელი და საზარელი პირობა დასდეს. ყველამ ერთხმად გადასწყვიტეს, რომ ამას იქით გათხოვება აღარა ღირს და ნუღარ გავთხოვდებითო. ამ გადაწყვეტილების პირი გაზეთში დასაბეჭდად მოგვივიდა, რომ სხვა ქალებმაც წაიკითხონ და გაიგონ.

აი ეს წერილი:

ღმერთო შენ მოგვიმართე ხელი!

„ეს, ქალებო ქალებო! ჩვენ თითონ ვღუპავთ ჩვენს თავს... თუმცა ბევრი კაცისაგან გვესმის, რომ ქალები, რამწამს იბადებიან, თავიანთ ეშმაკობა თან ჰყვებათ, მაგრამ ამას ვერ ვამტკიცებთ და კაცები აჭარბებენ... ნუთუ ეს არის ჩვენი ეშმაკობა, რომ ყველას ვენდობით და როგორც ჩვენა ვართ კეთილნი და უმანკონი, ისე სხვები გვგონია? იმის მაგივრად რომ ვატაროთ ჩვენი ცხოვრება ოსვრაში, ქვითიხში, წყევლაში და ჩივილში ჩვენს უბედურს მდგომარეობაზედ, სჯობს ვიპოვოთ სხვა ღონის-ძიება. კაცები, როგორც სჩანს, არიან ბუნებითვე მტანჯველები, ამიტომ ჩვენ უნდა შორს ვიყვნეთ ამათგან, ბეწვისტოლა ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ამათ და სჯობს ყველამ თავიდგან გამოვიღოთ, რომ გათხოვება აუცილებელი ხიფათია. მოდით, ქალებო, დავსდვნათ ერთ-ხმად, რომ აღარ დავუჯეროთ კაცებს და ნუღარ მივთხოვდებით. სულ ერთია, კაცები რამდენიმე ხნის შემდეგ გვცვლიან სხვაზედ. სჯობს ისწავლონ ჭკუა და ჩვენი ყადრი. იქნება ბევრმა გაიცინოს და სთქვან: «ჩვენთვის არაფერიო», მაგრამ გარწმუნებთ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მოვლენ გონებაზედ. ესრე, ქალებო, თუ გვიყვარს ჩვენი თავი, ნუ გავთხოვდებით; რამდენიმე წელიწადი მაინც მოვიცადოთ. თქვენ იქნება გგონიათ, რომ ჩვენ ამას ვამბობთ მტრობით, რადგანაც დარჩენილი ქალები გახლავართ და ვერ მოგვიხდა სიყვარული ან მოგვატყუა ვინმემ; თქვენ არ მოგვიკვდეთ, აზრადაც არა გვაქვს, ჩვენ ჯერ ეხლა ვსდგამთ ფეხს საზოგადოებაში და რადგანაც გვესმის მუდამ თავის დანებება, მოტყუება, ამიტომ გული გვეწვის და გირჩევთ ამას.

თქვენი კეთილის მოსურნე დები
რუსუდანა, ხორეშანა და დარეჯანა.

ოხ, მკითხველო, რა ურწმუნო თომა ხარ! შენ როგორღაცა არა გჯერა ეს ქალების ეპისტოლე და გგონია, რომ ჩვენ შევგვითხზავს. აშორომც არის, რომ არა. თუ გნებავთ დილის რვა საათიდამ საღამოს ცხრა საათამდის შემოდით რედაქციაში და ნახეთ ნამდვილი ამ ეპისტოლესი.

საწყალო კაცებო! ახლა რა გეშველებათ, ამას იქით მარტოებმა უნდა იყიალოთ. ფულები ხომ ჯიბეში დაგიქანდებათ, რადგან ტიურნურ-ტიკინ-ტუკუნებზედ აღარავინ დახარჯავს. აგრე გირჩევნიათ! რად დააბერეთ საწყალი რუსუდანა, ხორეშანა და დარეჯანა! რატომ არ ირთავდით. ახია თქვენზედ, სწორედ რომ ახია...

სოსიკო.

შეიდი იალქნიანი გემი დაღუპულა, მარილით დატვირთული. ერთი გემი, ოდესელი ბაბაჯანასი ნაპირზე გაუგდია. მასზედ 11,000 ფუთი მარილი ყოფილა.

—

უჱლამ იცის, თუ რა დიდი ხარჯი მოსდევს სახელმძღვანელოების ცვლას სასწავლებლებში. წლის დასაწყისში ნაყიდი, ხშირად ექვსის თვის შემდეგ აღარ ვარგულობს და მშობლებმა ახალი ხარჯი უნდა გასწიონ, რაც ბევრისათვის მეტად სამძიმოა. ამის გამო მსწავლულ კომიტეტს სახალხო განათლების სამინისტროისას შემდეგი წესები შეუმუშავებია: ა) არც ერთი სახელმძღვანელო მეორეს ადგილას ვერ დაიჭერს, ვიდრე ორი წელიწადი არ გაივლის უკანასკნელის მიღებიდამ. ბ) რა სახელმძღვანელოზედაც დაიწყებენ რომელსამე საგნის სწავლებას, იმავე სახელმძღვანელოზედ უნდა დაასრულონ. გ) რომელი მასწავლებელიც კი სახელმძღვანელოს შეცვლას აპიროზს, თავის აზრი საბუთებათ უნდა პედაგოგიურ რჩევას წარუდგინოს და დ) გარდაწყვეტილება ახალ სახელმძღვანელოს მიღებაზედ კანიკულებამდე უნდა გამოცხადდეს.

—

ერთს მებაღეს ორანიენბაუმში უცდია ხილისა და ბოსტნეულობის განათება რამდენიმე ხნის განმავლობაში ელექტრონულის ნათელით. გამოცდილებას აღმოუჩენია, რომ ბოსტნეულობაცა და ხილიც ბევრად უფრო ადრე შემოდის, როდესაც ამ ნათელის გავლენის ქვეშ იზდება, ან მწიფდება.

—

ერთს მამულის პატრონს ფინლანდიაში მოუყვანია რამდენიმე კვალი ჩინური კართოფილისა, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება უბრალო კართოფილისაგან, რომ გულის-წახდენა არ იცის. ეს თვისება კართოფილისა მეტის-მეტად ავნებს ამ სასარგებლო მცენარის გავრცელებას და თუ ჩინურს კართოფილს იგი არ ეკარება, მაშინ, უეჭველია, ყველასგან ცნობილი კართოფილის მაგიერად ჩინურს შემოიღებენ, თუ გემოვნებაშიაც განსხვავება არა იქნება-რა.

## უცხოეთი

ამ დღეებში ტელეგრაფმა გადმოგვცა მარკიზ სალისბიურისაგან ლორდმერის ნადიმზედ წარმოთქმული სიტყვები, რომელთაც მთელი ევროპა გააოცეს. უწინ, გლადსტონის მოთავეობის დროს, რასაც ამბობდენ სალისბიური, ჩერჩილი და სხვა ეხლანდელი მინისტრები, ყველას ახსოვს და მით უფრო უცნაური იყო იმდიანი სიტყვების მოსმენა სრულს მშვიდობიანობაზედ და ორი ძლიერი სახელმწიფოს შორის მეგობრული კავშირის ჩამოგდებაზედ სალისბიურის პირით.

მართლაც, სალისბიურის ნათქვამი გაზ. «ნოვოსტს» მხოლოდ ცბიერებად მიუღია და რამდენიმე მაგალითით აჩვენებს, რომ ეხლანდელი სამინისტროს მოქმედება სრულიად არ ეთანხმება ხსენებულ ნადიმზედ წარმოთქმულს. ბოლოს გაზეთი ამბობს:

«ეხლანდელი სამინისტროს მოქმედება პირ-და-პირ ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს. მარკიზ სალისბიურის სწადიან რომ ჩვენ უდაბნოში გავჩერდეთ, თითონ კი ეპატრონება ავღანისტანს და სპარსეთისაკენაც ტოტებს აწვდენს. განა ამის შემდეგ უადგილო ხუმრობად არ უნდა მივიღოთ სიტყვები მშვიდობიანობის დამყარებაზედ... მერე ჩვენ უნდა ყური ვუგდოთ ამ სიტყვებს და მარკიზ სალისბიურიმ კი ილაპარაკოს! იქნება ეხლანდელი შერყეული სამინისტროს მანევრებმა, არჩევნის განზრახვით გამოწვეულმა, ამ არჩევნების დროს ვისმე დავთრები დაუკარგოს, მაგრამ რუსეთმა კი იცის მათი ნამდვილი ფასი. თუ მარკიზ სალისბიურის უნდა, რომ იმის ნალაპარაკევი გვჯეროდეს, დაეხსნას მოლაპარაკებას ავღანის სამზღვარზე და იგი თვით ავღანისტანის ბედზე გადიტანოს. მხოლოდ ესეთი მოქმედება იქნებოდა პირველი ნაბიჯი იმ მშვიდობის დამყარებისადმი, რომელზედაც ლაპარაკობდა იგი ლორდმერის ნადიმზედ».

—

ლონდონიდამ აცნობებენ გაზეთს «Politische Corespondenz-ს, რომ ზულფიგარის საქმე ისევ უწინდელს მდგომარეობაშიაო. რუსეთი, თურმე, ისევ თავის აზრს ადგა და მარკიზი სალისბიური მზად არის რუსეთის მოთხოვნილება შეასრულოს, რომ სახელმწიფოს სახელის გატეხისა არ ეშინოდესო. ინგლისში დარწმუნებულნი არიან, ეს სადავო საქმე იქნობამდე გადუწყვეტელი დარჩება, რუსეთის მეცადინეობით, ვიდრე ინგლისის არჩევანი, რომელსაც ეხლავე ორივ პარტია გაცხარებით შეუდგა, არ გათავდება, და ვიდრე პირველი ჰერათზე მისასვლელად არ მოემზადება.

ინგლისმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა ყანდაჰარისკენ რკინის-გზის გაყვანაზედ და ინგლისის მოსამზღვრე კომისიის წევრნი, რომელნიც ამ ქალაქის ახლო და თვით ამ ქალაქში იმყოფებიან, ყოველის ღონის-ძიებით ცდილობენ არამცთუ მარტო ჰერათის გამაგრებას, არამედ იმ გზებისასაც, რომლიდამ მტერი ჩრდილოეთით და დასავლეთით მოსალოდნელია.

—

ხოლერა საშინლად მძვინვარებს ესპანიაში. მთელი აღმოსავლეთი ამ ნახევარ-კუნძულისა სენით მოდებულია. ბარსელონაშიაც გამოჩენილა. ზოგიერთ სოფლებიდამ მცხოვრებნი აქა-იქა გაქცეულან და ხოლერით მკვდრები დაუმარხავები დაუყრიათ. ერთს პროვინციაში საფლავის მთხრელები თხრას ვერ ასდიან, ექიმები წამლობას. ეს საშინელი სენი გაჩენილა აგრეთვე სამს პროვინციაში, საფრანგეთის სამხრეთის საზღვრის ახლო. მთავრობა შველის, მაგრამ იმდენი საშუალება არ არის, რომ ყველგან მისწვდეს.

—

საფრანგეთის პარლამენტში ივლისის დამდეგს ცხარე ლაპარაკი ყოფილა საკოლონიო პოლიტიკაზე. სიტყვა ჩამოვარდნილა მადაგასკარის კუნძულზე მოქმედებისათვის გადასადებ ფულზე. ფერის, უწინდელს მინისტრს, უთქვამს, რომ განათლებულმა ხალხებმა განათლების სხივი ველურ ხალხებშიაც უნდა გაავრცელონო. კლემანსოს ამ სიტყვებისათვის საკადემიო თეორია დაურქმევია და უთქვამს: «ძალ-და-ძალობით კოლონიების გავრცელება — უგუნური პოლიტიკაა. ვისაც მინდობილი აქვს დედა-ქვეყანაზედ ზრუნვა, მას არა აქვს ნება ამ საქმისათვის დანიშნული სამხედრო ძალა სხვაგან გაიბნიოს. ბრისონს, მინისტრთა პრეზიდენტს, წარმოუთქვამს რამდენიმე სიტყვა კრედიტის სამხროდ და პალატასაც მიუღია 291 ხმის უმეტესობით 142-ის წინააღმდეგ.

## სხვა და სხვა ამბავი.

ვიქტორ ჰიუგოს თავის დღეში არა ჰქონია ორი რამ: ფული და ეკიპაჟი. დიდის ყინვის დროს იგი კმაყოფილდებოდა სუბუქის პალტოთი და გულში აღგზნებულის პოეტურის ცეცხლით. უფრო მეტად მას ფეხითა და ომნიბუსით სიარული უყვარდა და ამ სიარულის დროს თავის გონებაში სთხზავდა ახალს თხზულებას. ყველა კუჩერები და კონდუქტორები იცნობდენ მას და თავაზიანად უკრავდენ თავს, რადგანაც იგი მათ ჩაისთვის ფულს აძლევდა ხოლმე. მას ჰყავდა საკუთარი კუჩერი, რომელიც სიამაყით უძახოდა თავის-თავს „ვიქტორ ჰიუგოს კუჩერს“. ამ საკვირველს კუჩერს შარლმეუარს უყვარდა თავის საჯდომიდამ ჩამოსვლა, რომ ხალხის კრებაზედ სიტყვა წარმოეთქვა და ან თავის შეთხზული ლექსები წაეკითხა. პირველად იგი ჰიუგოს ფულს არ ართმევდა, მაგრამ როდესაც პოეტმა დაარწმუნა, ფასი მიეღო, იგი დათანხმდა ტაქსისამებრ ფასის აღებას მხოლოდ იმ პირობით, რომ ჩაის ფულზედ ხსენებაც აღარ ყოფილიყო.

ერთხელ ვიქტორ ჰიუგომ ეს კუჩერი თავისთან სადილზედ მიიპატიჟა, ამ სადილზედ სხვა მწერლები და პოეტებიც დაესწრნენ. შემდეგ შამპანიის ღვინის დალევისა, ეს კუჩერი ისეთს აღტაცებაში მოვიდა, რომ თავის ლექსების კითხვა დაიწყო და ისეთის გულმხურვალებით, რომ ყველა იქ მყოფნი შეაშინა; მხოლოდ თვითონ მასპინძელი გულდამშვიდებული შეექცეოდა სადილს და საყვარელს ესპანიურს ღვინოს. ალფონს დოდე ამბობს, რომ ჰიუგო ძალიან ბევრსა სვამდა ამ სასმელს, მაგრამ თავის დღეში არ ითრობოდაო. თვითონ დოდეს კი მალე ეკიდებოდა.

ტურნიური სიკვდილიდამ იხსნის. პარიჟის ქუჩაში მიდიოდა ერთი ქალი, რომელსაც მეტის მეტად დიდი ტურნიური ჰქონდა. უეცრად ერთის სახლის ფანჯრიდამ, რომლის წინაც ამ ქალმა გაიარა, ორი წლის ყმაწვილი გადმოვარდა და ზედ ტურნიურზედ დაეცა; ბავშვი სიკვდილს გადარჩა, რისგამოც ხალხმა ქების ლექსი გამოსთქვა ტურნიურზედ.

საკვირველი გაცოფიანება. ბუდონიდამ იწერებიან: ერთს გლეხ-კაცს ცოფიანი ძაღლი მივარდა, მაგრამ ვერ უკბინა, რადგანაც მსხვილი მატერიის შარვალი ეცვა, თვითონ შარვალი-კი ცოფათი გამოაგლიჯა. გლეხი შინ მოვიდა და დას უთხრა დახეული შარვალი დაეკერებინა. დამ დააკერა შარვალი და ძაფი კბილით ისე მოსწყვიტა, რომ ტუჩები დადორბლილს ადგილას მიაკარა, რისგამოც შხამიანი დორბლი პირში ჩაუვიდა, გაცოფიანდა და მოკვდა.

ახირებული ორდენი. ამერიკაში ორდენები არ იციან და იქაურებს პატივის ცემა რომელიმე გამოჩენილის სარდლისა სწორედ რომ სასაცილოა. როდესაც გენერალმა, გრანტმა ეხლა ხანს გადაცვალებულმა, გამარჯვებით გაათავა ერთი-ერთ შორის ამტუდარი ომი, პატივის-საცემლად მას გაუკეთეს 2,000 დუკატისაგან შემდგარი მედალი და 2,000 დუკატისავე ძეწკვი ყელზე ჩამოსაკიდებლად. როდესაც რიჩმონდში გრანტს უკეთებდენ ამ საჩუქარს, მან, თურმე, დამშვიდებულის ხმით უთხრა, ამ საჩუქრისათვის ღონიერი ხარის კისერი არის საჭიროვო და მაშინვე მოიხსნა ყელიდამ.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 26-ს.

პეტერბურგი. სალისბიურის უკანასკნელის ლაპარაკის გამო საზოგადოებათა პალატაში „Journal de St-Pétersbourg“-ი სხვათა შორის ამბობს, რომ ავღანის დამოუკიდებლობა ერთს უმთავრეს საგანს წარმოადგენს რუსეთის და ინგლისის შორის მორიგებისას და რომ ცნობა რეიტერის სააგენტოსი, ვითომ ავღანელთ ჯარების პენჯდესთან მოგროვების გამო, იქ გაგზავნილია რუსის ჯარებიც, არა მართლდება. პენჯდე ხელ-შეუხებლად არის დარჩენილი მარტის 30-ს მომხდარის შემთხვევის წყალობით და არც ავღანელების და არც რუსების ჯარებს არ შეუძლიანთ იქ შესვლაო.

ლონდონი. ინდოეთის მინისტრმა ჩერჩილმა წარუდგინა საზოგადოებათა პალატას ინდოეთის ბიუჯეტი და სთქვა, რომ გასავალი აღემატა წინად განზრახულს ანგარიშს 3,800,000 გირ. სტერლინგით; ავღანის საზღვარზედ შემთხვევათა გამო მოემატება მომავლის ბიუჯეტის გასავალსაც, რადგან ინდოეთის მმართებლობამ წარმოადგინა პროექტი ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის გამაგრებისთვის; ამას გარდა ხარჯის მომატება მოსალოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელია ინდოეთის ჯარის შენახვისათვის, რადგანაც მაშველი ჯარი მრავლდება 22,700 ინდოელით; ხოლო სამუდამო ინდოეთის ჯარი გაძლიერებული იქმნება 3900 ცხენოსნით და 4550 ქვეითი ჯარის კაცით. განზრახვაა, რომ ეს ჯარი შეიარაღებულ იქმნას ჯანრი მარტინის თოფებით“. ინდოეთის პორტები დაცულ იქმნებიან მანებით და კანონერკებით; ყოველსავე ამას მოუნდება წელიწადში სამ მილიონამდე; აგრეთვე გაძლიერებულ უნდა იქმნან ინდოეთში ინგლისის ჯარები.

ჩერჩილმა გაჰკიცხა ინდოეთის წინანდელის ვიცე-კოროლის რიპონის მოქმედებანი და გლადსტონის პოლიტიკა ინდოეთის შესახებ და სთქვა, რომ შემდეგს სესიაში კონსერვატიული პარტია მოითხოვს საპარლამენტო გამოძიების დანიშვნას ინდოეთის მმართებლობის მოქმედებათა გამო.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატისა და სენატის სხდომანი დაიხურა.

**სიმლა.** პიშინის ხეობაში გაგზავნილი გენერალი მაკ-გრეგორი ახალ სიმაგრეთათვის ადგილებს ამოარჩევს ხოჯენტის გასავლებში.

ივლისის 27-ს

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია გადაწყვეტილება მინისტრთა კომიტეტისა იმის შესახებ, რომ შაქრის გატანას საზღვარს გარეთ ხელი შეეწყოს. ვინც გაიტანს, თითო ფუთზედ მიეცემა თითო მანათი ჯილდო გარდა ბაჟის დაბრუნებისა. ეს ჯილდო მიეცემათ 1886 წლის იანვრის პირველამდე გატანილი შაქრისათვის. სპარსეთისაკენ და შუა-აზიისკენ გატანილს შაქარზედ კიდა 1886 წ. ივლისის პირველამდე გაგრძელდება. როდესაც გატანილი შაქარი ორ მილიონ ფუთამდე ავა, ჯილდოს მიცემა მოისპობა.

**ჰელსინგფორსი.** წუხელის აქ მობძანდენ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა.

### ბირჟა

პეტერბურგი ივლისის 26.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — | — $23\frac{11}{16}$ $23\frac{25}{32}$ $23\frac{5}{8}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — | — 202 $202\frac{1}{2}$ $201\frac{3}{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | — 250 $249\frac{3}{4}$ |
| პოლუიმპერიალები | — 8 მ. 33 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — 8 მ. 34 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — 1 მ. 31 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი — | — $5\frac{3}{4}$ და $6\frac{3}{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — | — 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — $97\frac{3}{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — 97 მ. 62 კ. მყ. |
| მეოთხე გამოც. — | — 97 მ. 37 კ. მყ. |
| მეხუთე გამოც. — | — 97 მ. 37 კ. მყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. | — $95\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც — | — 95 მ. 62 კ. მყ. |
| მესამე გამოც. — | — 95 მ. 62 კ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — 218 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა | — $212\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — | — 174 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები — — | — 43 წ. 88 მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 89 მ. გამყ. |

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუ

| | | | |
|---|---|---|---|
| სეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — -- | —1 | გ. | 3 კ. |

მროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი — — — | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი — | —1 | გ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 — | გ. | |

## განცხადებანი

### სანიავებელი მაშინები

ჩვენებურის (კევრით) ნალეწის გასანიავებლად, მოწყობილი ბ.ბ. ყაზბეგისაგან და სამოილოვიჩისაგან, მხოლოდ რამდენიმე-ღა დარჩენილა.

ფასი 90 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ალექსანდროვის ბაღში, სამეურნეო საზოგადოების სადგურში და ბ. ყაზბეგთან, თბილისში, რკინის-გზის ვოკზალზე, დეპოს ნაჩალნიკის სადგურში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ შემდეგის ადრესით მომართონ: Тифлисъ жел. дор. вокзалъ, начальнику депо г-ну Казбекъ.

წერილების მომწერლებს უმორჩილესადა ვსთხოვთ თავიანთი ადრესები სწორედ და დაწვრილებით შეგვატყობინონ; აგრეთვე სანიავებლის გამოწერის დროს ისიც შეგვატყობინონ,— თუ რკინის გზის რომელს სტანციაზედ მოისურვებს გამოწერილი მაშინა ჩაიბარონ. (10—6)

## შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(Ц. 2542).

(46—23)

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

## „თეატრი“

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ და-პირი თავის დანიშნულებისა, ესე იგი ადგილობრივი თეატრების, (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, „თეატრი“, თვალს ადევნებს კიდევ ჩვენს ლიტერატურასაც. დრო გამოშვებით „თეატრ“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს. საზოგადოთ პროგრამა „თეატრისა“ შემდეგია:

ა. მოწინავე წერილები.
ბ. პიესებისა და წარმოდგენების რეცენზიები.
გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
დ. კორესპონდენციები და ყოველ გვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდამ.
ე. გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით.
ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვ.
ზ. ფელეტონი: თეატრის შესახებ. სცენები, დრამატიულნი თხზულებანი, ლექსები, სამღერალი კუპლეტები, რომანები, მოთხრობანი, ამბები, მოგონებანი და სხვ.
ჱ. ანეგდოტები, გამოცანები, რებუსები, შაირები და სხვ
თ. ყოველ-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენს ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრს» აღუთქვამს თავიანთი მონაწილეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, **კვირაობით** ფასი «თეატრის»-სა: წლით როგორც ქალაქისა, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის **ხუთი** (5) მანეთი. ნახევარის წლით—**სამი** (3) მანეთი ცალკე ნომერი ღირს **სამი შაური**.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანავე 3 მანეთი, მაისში 1 მან. და მარიამობის თვეშიაც 1 მან. სხვა ვადით ხელის—მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში** „თეატრი“-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**ქუთაისში**—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Театръ“. Баронская улица, домъ Тамамшевой, № 16.

ენკენისთვემდის, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: **Тифлисъ. Книжный Магазинъ Григорія Чарквіани.** წერილებიც ამ ადრესითვე უნდა გამოიგზავნოს.

(5—2) რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

## „РАДУГА“

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ СЕМЕЙНЫЙ ЖУРНАЛЪ.

**ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА**

съ 1 іюля 1885 года по 1 января 1886 года.

**ВО ВТОРОМЪ ПОЛУГОДІИ МЕЖДУ ПРОЧИМЪ БУДУТЪ НАПЕЧАТАНЫ:**

НАДЯ ХОЛМИНА. Романъ, въ 2-хъ частяхъ съ иллюстраціями **С. А. ОРЛОВА.**

КОЗЫРНЫЕ ТУЗЫ. Больш. пов. изъ Кавказск. жизни съ иллюстр., **Вл. И. Немировича-Данченко.**

НАДО РАЗВОДИТЬСЯ. Комедія въ 3-хъ актахъ, **Виктора Крылова.**

МУЖЪ ЗНАМЕНИТОСТИ. Комедія въ 4-хъ актахъ, **Князя Сумбатова.**

СИНІЙ ЧУЛОКЪ. Комедія въ 3 дѣйств. изъ современныхъ нравовъ, **Д. А. Мансфельда**

3 р. за полгода съ пересыл.

**ПРИЛОЖЕНІЯ:**

и множество другихъ разсказовъ, стихотвореній и. т. п.

Ноты, Моды. Салонъ, Аккордъ, Сцена, Дачная жизнь

Высылающіе 5 рублей получаютъ журналъ за весь годъ съ № 1-го и безплатную премію.

**АДРЕСЪ:** Москва, редакція „РАДУГИ“.

(3—2)

*Доз. ценз. Тифлисъ, 27 Іюля 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.